მეტად საჭირო ქულა

“დინამო” (კიევი) – “დინამო” (თბილისი) 1:1 (1:0).

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 19 ოქტომბერი.

კიევი: ჩანოვი, კუზნეცოვი, ბალტაჩა, ევსეევი, დემიანენკო, რაცი, ოლეფვირენკო, ნალი, ხლუსი (ზავაროვი), ევტუშენკო, მიხაილიჩენკო.

თბილისი: აბუსერიძე, კეტაშვილი, პაიკიძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, (მიქაბერიძე), სულაქველიძე, მახარაძე, ჩქარეული, მესხი (ცაავა).

მსაჯი: ა. ხორლინი (მოსკოვი).

გააფრთხილეს კაკილაშვილი.

დუბლიორები – 1:1. თბილისელთაგან ბურთი გაიტანა ჟორდანიამ.

გათამაშების ცხრილში მეზობლად მყოფ ძველისძველ მეტოქეებს – თბილისისა და კიევის დინამოელებს გუშინდელ მატჩში რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდათ. კიეველებს – ბლოხინი, ბესონოვი, ლოზინსკი, თბილისელებს – ჩივაძე, შენგელია, გუცაევი, მაგრამ დასამალი არაა, რომ სადღეისოდ შექმნილ პირობებში თბილისელთათვის ეს დანაკლისი გაცილებით უფრო სერიოზულია, ვიდრე კიევის “დინამოსათვის”.

ამიტომ იყო, რომ მატჩის პირველი ნახევარი, თითქმის მთლიანად, მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა და უკვე მე–10 წუთზე ბალმა დემიანენკოს გადაცემით დააწინაურა თავისი გუნდი – 1:0.

სტუმრების თავდამსხმელები წინა ხაზზე ვერც სახიფათო შეტევას ქმნიდნენ და ბურთს ვერც აყოვნებდნენ ისე, რომ ამით დახმარებოდნენ თავიანთ ნახევარმცველებს, მცველებსა და მეკარეს, ამის გამო ამ უკანასკნელთ ძალზე მძიმე დატვირთვა დააწვათ.

დაახლოებით ასევე მიმდინარეობდა თამაში 10–15 წუთის განმავლობაში შესვენების შემდეგაც.

მაგრამ შუა ტაიმში მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა, ამოქმედდნენ მესხი და ჩქარეული, კიეველთა ნახევარზე გადაინაცვლეს კაკილაშვილმა, მახარაძემ, სტუმრების თამაში გაიმართა, მცველებსაც შესაძლებლობა მიეცათ მეტი აქტიურობით ებრძოლათ.

ყველაფერმა ამან სასურველი შედეგიც გამოიღო და საბოლოოდ თბილისელებმა შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა, რომელმაც მათ ფრე და მასთან ერთად მეტად საჭირო ქულა მოუტანა: მიმდინარეობდა 79–ე წუთი, მესხმა კარგად გაიყვანა გარღვევაზე ჩქარეული, მან დაასწრო მეკარე ჩანოვს და საპასუხო ბურთი გაგზავნა მის კარში – 1:1.

კიეველებს ამ მატჩისთვის უკვე შესრულებული ჰქონდათ ფრეთა ლიმიტი (10) და ფაქტობრივად ვერაფერს მიუმატებდნენ თავიანთ აქტივს. ამიტომ ისინი გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ, ბოლო წუთებში უპირატესობაც ჰქონდათ, მაგრამ თბილისელმა ფეხბურთელებმა ყველაფერი გააკეთეს მიღწეულის შესანარჩუნებლად და კიდევაც შეძლეს ეს.

“ლელო”, 20 ოქტომბერი, 1984 წ.